№ 62 სამშაბათი, 10 ნოემბერი 1909 წ.

# მომავალი

№ 62 სამშაბათი, 10 ნოემბერი 1909 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მომავალი"

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთი ღირს:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. **1 ნოემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 1 მ. 60 კ. თფილისს გარეთ 1მან. 80 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**

**Тифлисъ, тип. ,,Шрома'', Калистрату Конст. Циладзе.**

წარმოდგენა **15.** **ქართული თეატრი** წარმოდგენა **15.**

**აბონიმენტი მე-5.**

**ხუთშაბათს, 12 ნოემბერს** 1909 წელს ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველათ განახლების შემდეგ პიესა ბარეტისა

**ახალი მოძღვრება**

დრ. 5 მოქ. და 7 სურათად.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, პ. შოთაძე; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარაძე, ხარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილ-ხაშმელი, კ. მესხი, ი. მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, შ. საფრონვი.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 5 მ.-დე, პარტერი 2 მ. 60 კ. 60 კ.-დე, გალერეა 40 კ-დან 20 კ-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენათ: ახალი პიესა პ. გოთუასი «პარტიის კაცი?!»,

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

---

**თფილისის სახაზინო თეატრი**

საოპ. ამხ. ანტ. ეიხენვალდის გამგეობით დღეს მეორეჯერ მეიერბერის **გუგენოტები** მუსიკალური დადგმა ანტ. ეიხენვალდისა. მონაწილეობენ: ქ-ნნი რდი, ვიკშემსკაია, დე-ვოს-სობოლევა, ელაგინა; ბ-ნნი: ბორისენკო, ბარსოვი, გალეცკი, დემიანენკო, ევლახოვი, კუზმინი, მაჩალოვი, ობრუბოვი, პევცოვი, ტირაციანი, ამელევი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. ხვალ პუჩჩინის M-me **ბატტერფლეი.** მზადდება **„კორნევილის ზარები"**

---

**თფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან **მოსიარულე ავათმყოფთათვის.**

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 10½—11.

**გურკო გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—2½ ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10.

**სოგოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. სახებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—32)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

---

**ვოგზლის კერძო სამკურნალო**

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—32)

---

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

**ხუთშაბათს, 12 ნოემბერს,** სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენის მმართველ სექციის მიერ **გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

**ორი ობოლი**

მელოდრამა 5 მოქ. თარგმანი ა. ცაგარლისა

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი. ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათ საღამოს, 21 ნოემბერს. წარმოდგენილ იქნება **„ღალატი"**. სუმბათაშვილისა და სხ.

დაბეჯითებითა ვსთხოვთ საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია, თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი** ადმინისტრატორი **სვირელი.**

---

**გამოცდილი მასწავლებელი.**

ამზადებს და წვრთნის მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისათვის

იკითხეთ ,,მომავალის'' რედაქციაში, რუსის ქუჩა 3. (0—23)

---

Открыта подписка на новую ежедневную Газету на русс. яз.

**,,НОВАЯ РѢЧЬ''**

**Отдѣльный № 3 коп.**

За мѣсяцъ подписная плата 50 коп.

ГАЗЕТА ВЫХОДИТЪ съ 5 НОЯБРЯ

Адресъ: Тифлисъ Ред. газ. „Новая Рѣчь" Дворцовая, домъ груз. дворянства.

Ред.-изд. **П. А. Готуа.**

---

**ჭიათურაში**

გაიხსნა რკინის გზის შკაფი, რომელსაც განაგებს

**ისიდორე შილაკაძე.**

იქვე იყიდება ყველა ადგილობრივი და სატახტო ჟურნალ-გაზეთები, მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „მომავალ"-ზე და სხვადასხვა განცხადებები „მომავალ"-ში დასაბეჭდათ. (10—4)

---

კბილის ექიმი

**ი. შ. ჭანტურია**

იღებს ავათმყოფებს დილით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

---

**ბათუმში**

**გაზეთ „მომავალ"-ზე ხელის მოწერა მიიღება რკინის გზის შკაფის გამგე**

**გიორგი მახარაძესთან.**

**იგივე მიიღებს სხვადასხვა განცხადებებს გაზეთ „მომავალ"-ში დასაბეჭდათ.**

(10—4)

---

კბილის ექიმი

**ს. ვაშაყმაძე**

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

---

съ 8 ноября въ Тифлисѣ выходитъ ежедневная общественно-политическая газета

**НАШЪ КРАЙ**

Въ газетѣ принимаютъ участіе какъ мѣстныя литературныя силы такъ и писатели-публицисты обѣихъ столицъ.

**подписная цѣна:** Въ годъ въ Тифлисѣ 7 руб. въ провинцію 8 руб. въ мѣсяцъ 75 к. **отдѣльный № 5 коп.**

Адресъ редакціи и конторы: Дворцовая № 6.

---

**ავტომობილები**

ვისაც სურს შვეიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავტომობილი, **ლანდო, კარეტა, კალიასკა,** ღია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ საბირჟოთ.

ეტლი 5 ან 12 ადგილიანი და სხვა და სხვა

მოგვმართოთ შემდეგი ადრესით: „Herrn Bendianidse, Automobilfabrik «AJax» A. G. Hirschengraben, 80 «Zurich».

რადგან ამ ცნობილ ფაბრიკაში ვმუშაობ, შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდვინო.

დამატებითი ცნობები «მომავალის» რედაქციაში. **ბენდიანიძე.** (0—6)

---

## თფილისი, 10 ნოემბერი.

„ჯერ დამშვიდება, მერე რეფორმები"—ასე გამოსთქვა ბიუროკრატიამ სტოლიპინის პირით თავისი მოქმედების სქემა. ამ საყვარელ ფრაზას წარა-მარა იმეორებდენ და დღესაც იმეორებენ რუსეთის რეაქციონერები. გამოდიოდა, თითქოს მათ რეფორმატიულ მოღვაწეობას ხელს უშლიდა და აჩერებდა საზოგადოების უკიდურესი ელემენტები, თითქოს რევოლიუციონური მოძრაობა იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ რუსეთში კანონის მაგიერ განსაკუთრებული წესები და დიდი და პატარა ადმინისტრატორების პირადი განსჯა მოქმედებდა. თუმცა ამ მოსაზრების უსაფუძვლობა ყველასათვის აშკარა უნდა ყოფილიყო, მარა ზოგიერთ გულუბრყვილო მოლიბერალო ელემენტებს საზოგადოებისას იგი სჯეროდა და ბიუროკრატიისაგან მართლა გამოელოდა რეფორმებს იმ დროისთვის, როცა ქვეყანა დამშვიდდებოდა. დღეს რუსეთი დამშვიდებულია. უზარმაზარ იმპერიის სივრცეზე გამეფებულია სამარისებური სიჩუმე, რომელსაც დრო გამოშვებით არღვევს ხოლმე ექსპროპრიატორთა „გამოსვლები", რომელთა შორის ხშირათ პოლიციის აგენტებიც არიან. ვგონებთ ამაზე უკეთეს დროს რეფორმებისათვის ვერასოდეს ვერ ნახავდა ბიუროკრატია! რას შვრება იგი? ასრულებს თავის დანაპირებს?

იგი მართლაც გაცხარებულ მოღვაწეობას ეწევა, რეფორმებს ახდენს, მარა ამ „რეფორმების" მიზანია არა რუსეთის დამყაყებული ცხოვრების განახლება, არა ხალხის საჭიროებათა დაკმაყოფილება, არამედ ძველის სავსებით აღდგენა, გაბატონებული კლასის შერყეული ბატონობის გამაგრება. იგი აღარაფერს აღარ ტოვებს ხელშეუხებელს და ყველაფერი უკან მიაქვს, რაც განვლილმა რევოლიუციონურმა მოძრაობამ გამოიწვია ცხოვრებაში. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. რევოლიუციონურმა მოძრაობამ აშკარათ წამოაყენა წინ რუსეთის ცხოვრების ბნელი მხარეები და მათი მოსპობის საჭიროება და პირდაპირ არა ბუნებრივი იქნებოდა, რომ გაბატონებულ კლასებს, რომელთა არსებობას იგი ეხებოდა, ეს არ ეგრძნო და ყოველი საშუალებით მას არ შებრძოლებოდა. ამიტომ ამ მოძრაობის პირველი პოლიტიკური შედეგი რეაქციის მიძინებული, პოტენციონალური ძალების სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლა, მათი აქტიური ამოძრავება იყო. მემამულე თავად-აზნაურობა დაშინებული ხალხის მოძრაობით კავშირდება, ფეხზე დგება და სახელმწიფო ძალა-უფლებას ხელში იგდებს. აქამდე თუ იგი თავის ინტერესების დაცვას ბიუროკრატიას ანდობდა, ამის შემდეგ მას უნდობლობას უცხადებს და მის მოქმედებას მკაცრ კანტროლს უშვება. მას უკან მიყვება და გვერდს უმაგრებს საზოგადოების მეორე რეაქციონური ნაწილი—სასულიერო წოდება. ეს ორი საზოგადოებ[illegible] მოძრაობის ბურჯი. მთელი მოძრაობის გეგემონია, რასაკვირველია, თავად-აზნაურობა იყო და არის. ამ კლასის სურვილი გადაიქცა მთავრობის სურვილათ. დაწყებული 1905 წლის ბოლოდან, როცა რეაქციამ ძალა მოიკრიფა, მთავრობის ყველა მოქმედებას აძევს სპეციფიური ბეჭედი გაერთიანებული თავადაზნაურობის გავლენისა. ორივე დუმის დათხოვა, საარჩევნო კანონის შეცვლა, 9 ნოემბრის „უკაზი" და ბევრი სხვა საყურადღებო მოვლენა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მოხდა თ.-აზნაურობის პირდაპირი ჩვენებით და მისი სურვილის თანახმათ. ბევრი კანონ-პროექტები, რომლებიც ბიუროკრატიამ შეიტანა პირველსა და მეორე დუმაში და რომლებიც ასე თუ ისე ანგარიშს უწევდენ რევოლიუციონურ მოძრაობის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებს, გაერთიანებული „ზუბრების" მოთხოვნით უკან იქნა გატანილი—ზოგი მათგანი „რადიკალურათ" შეასწორეს, ზოგიც სრულიად დავიწყებას მისცეს. უბრალო რამეც კი, რომელსაც შორეული დამოკიდულება აქვს მემამულეების ინტერესებთან, მთელ ალიაქოთს იწვევს ხსენებულ კლასის წარმომადგენლებში და იდეოლოგებში. ერთი სიტყვით, ისინი გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს საზოგადოებრივ ცხოვრებას და რაც მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება, ენერგიულათ ებრძვიან მას. აღარ დარჩენილა არც ერთი კუნჭული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებისა, სადაც ამ რეაქციონერთა შავ არმიას მოურიდებლათ ხელის ფათური არ დაეწყო.

გაერთიანებული თავად-აზნაურობა თავის ინტერესების დასაცავათ მარტო მთავრობაზე ზე-გავლენით როდი დაკმაყოფილდა: ის ცდილობდა მესამე დუმაც სავსებით თავის გეგემონიისათვის დაემორჩილებია, მართალია მესამე დუმა თავისი უმრავლესობით უმეტეს შემთხვევებში, ერთავად მისი ფეხის ამყოლი იყო და არის, მაგრამ გათამამებულ თავად-აზნაურობისათვის ეს კიდევ ცოტაა. და აი, მისი ცხადი თუ მალული მეცადინეობით დუმაში დგება ნაციონალური ფრაქცია.

ამ ფრაქციის შედგენით ოქტომბრისტებმა დაჰკარგეს დუმის ხელმძღვანელის როლი, რომელიც ბობრინსკი-ბალაშოვის ხელში გადავიდა. ამ რიგათ, დუმის ხელმძღვანელობაც ერთავათ მემამულეებმა ჩაიგდეს ხელში და ეჭვი არაა ისინი დღეიდანვე ერთგულათ შეუდგებიან გამოიყენონ „განახლებული წყობილება" თავისი შერყეული სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის გასამაგრებლათ. თუ რამდენათ შესაძლებელი იქნება ეს, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

---

## პრესა

კვირას თფილისში გამოვიდა ახალი გაზეთი „Нашъ Край" (ჩვენი მხარე). თავის სახელმძღვანელო წერილში გაზეთი აცხადებს:

„ჩვენი მიზანია სამშობლო მხარის სამსახური, რომელიც დასახლებულია სხვადასხვა ეროვნების ხალხით. თვითეული ჩვენთაგანი, როგორც შვილი თავის ხალხის, განიცდის ყველა იმ გრძნობას, რომლითიც ღელავს, იტანჯება და ხარობს ის ხალხი, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნით; მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ და არც უნდა დავივიწყოთ ერთი წუთითაც კი, რომ გზა უკეთესი მერმისაკენ სძევს, ყველა იმ ერებთან დამოკიდებულება-სოლიდარობაში, რომლებთან ცხოვრება ისტორიამ გვარგუნა. ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების ხალხის მასსას მხოლოთ საერთო ძალღონით, მხოლოთ საერთო საშუალებით შეუძლია მიაღწიონ შორეულ იდეალს და ასე თუ ისე თვალსაჩინოთ გაიუმჯობესონ თავისი ტანჯული მდგომარეობა. მუდამ მავნებელი და უაზრო ნაციონალური შუღლი, ნაციონალური ღრძა, კიდევ უფრო მეტ დანაშაულობათ ჩაითვლება ისეთ მომენტში, როცა ირგვლივ გამეფებულ საშინელ სიჩუმეში, მხოლოდ მარტოოდენ კაცთ მოძულეთა მაღალი ხმა [illegible]

ერი არ წარმოადგენს ერთიან მასსას. თვითეულ ერში არის ხალხის ცოცხალი ძალები, ამავე დროს არიან პარაზიტული ელემენტებიც. და აი, ერის ამ ორ ელემენტთან დამოკიდებულებაზე გაზეთი ამბობს:

„რაზედაც არ უნდა დავწეროთ ჩვენ—საერთო სახელმწიფო კითხვები იქნება ეს თუ ადგილობრივი, ჩვენთვის ძვირფასი იქნება თვითეული ერის მხოლოდ ამ ცოცხალ ძალებთან დამოკიდებულება. ხელის შეწყობა ყველა ამ ძალების გონებრივი და იდეიური ორგანიზაციების «წელში გასამართავათ», განურჩევლათ ეროვნებისა,—აი მოვალეობა ყველა იმ მოქალაქის, რომელსაც უყვარს თავის სამშობლო და ამას ისახავს თავის მიზნათ, «ნაშ კრაი»-ც.

* * *

როგორც „სავაჭრო-სამრეწველო გაზეთი" გადმოგვცემს ამ დღეებში ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენელთა სიეზდის საბჭოს ბროშიურა გამოუცია, რომლითაც მწარმოებლები კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ სამინისტროს პროექტს მუშებისთვის საექიმო დახმარების აღმოჩენის შესახებ. როგორც ეტყობა, სადავოთ გამხდარა პროექტის ის დებულება, რომელიც წინეთ მწარმოებლების წარმომადგენლებმა მიიღეს და რომლითაც მუშის ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფი ხარჯები საწარმოვო დაწესებულებათა პატრონებს უნდა გაეღოთ, მარა რამდენათ დიდხანს გრძელდებოდა მოლაპარაკება სამინისტროსა და მრეწველთა წარმომადგენლებს შორის, იმდენათ ეს უკანასკნელნი ცდილობდენ პროექტის შეცვლას და მიზანსაც აღწევდენ რამდენიმეთ მაინც. ბოლოს მრეწველთა წარმომადგენლნი მარტო „წვრილმანებით" არ დაკმაყოფილდენ და შეეცადენ პროექტის ძირითადი დებულების თავის სასარგებლოთ „განმარტებას". ეხლა ისინი ამტკიცებენ, რომ საექიმო დახმარება მუშებს უნდა გაუწიონ საზოგადო თვითმართველობების ორგანოებმა და თუ ეს არ მოხერხდება, იმ შემთხვევაში უნდა დაევალოს საავათმყოფოსთან არსებულ მუშათა კასებს, ამასთანავე, მწარმოებლების დახმარება ამ შემთხვევაში რაც შეიძლება უნდა შემცირებულ იქნასო. ამის შესახებ „რუს. ვედ." სწერს:

«ავათმყოფი მუშის გასაკურნავი ხარჯები, მწარმოებლების აზრით, თუ გინდ ავათმყოფობა ქარხნაში მუშაობის შედეგი იყოს, უნდა გაიღონ ერობებმა ან მუშათა სამკურნალო კასემა, რომელშიაც თავიანთ ისედაც მცირე წვლილის მწარმოებლები კიდევ უფრო ამცირებენ დახმარების აღმოჩენის დროს. ეტყობა, მწარმოებელთა მადა-სურვილი თანდათან ვითარდება. ან კი, რატომ არ უნდა ვითარდებოდეს? სამინისტროს პროექტები ისევ ერთ ალაგს არის და არა თუ ცდილობენ მის ცხოვრებაში გატარებას დაკანონებით, არამედ—სხვადასხვა «განმარტებებით“ ამ დარგის ძველი კანონ-მდებლობაც კი იკვეცება-იცვლება. მაგ., თავისი პოზიციის გასამაგრებლათ საბჭოს სიეზდს მოყავს სენატის განმარტება მდგომარე წლისა, რომლითაც 1866 წლის კანონს—ავათმყოფობის დროს დამქირავებელი ვალდებულია მუშას სამკურნალო ხარჯები აძლიოს—ძალა აღარ აქვსო.

„განმარტებას“ დაჩვეულ მწარმოებლებს ყოველივე წვრილმანის განმარტება სჭირდება და „სავაჭ. სამრეწ. გაზეთი“-ც ამას ასრულებს. ის ეუბნება მწარმოებლებს, რომ

«რახან მუშის ავათმყოფობა ქარხანაში მუშაობის შედეგია მექარხნის მოვალეობაა ავათმყოფის ჯანმრთელობის აღსადგენათ იზრუნოს, ვინაიდან ისედაც მცირე ხელ-ფასი მუშას აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათაც არ ყოფნის, საცხოვრებელი ბინები ქარხნებთან უვარგისია, თვით ქარხნებიც სანიტარულის მხრით ვერ არის ხეირიანათ მოწყობილი, რაც მუშებს შორის ავათმყოფობის გაჩენას უწყობს ხელს და სხ...

გაზეთი დაბოლოს პრინციპიალურათ იმის მომხრეა, რომ მწარმოებელი ვალდებული გახდეს მუშის წინაშე ავათმყოფობის დროს სამკურნალო ხარჯების გაღებისა, მარა ხსენებულ პროექტებს მაინც ერთი ალაგიდან არ სძრავენ. და რომც „დააკანონონ“ დღეს ცოტა რამ მუშების სასარგებლოთ, სულ ერთია—ხვალ „განმარტების“ საშუალებით ისევ მოსპობენ. „ქარის მოტანილს ქარი წაიღებს“.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8—ნოემბერი

## სპარსეთი.

**თავრიზი.** მახლობელ სოფლებიდან გამოქცეულთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. ყარადაღლები და შახსევანები თავრიზის ახლო-მახლო სოფლებს ძარცვავენ. გენერალ- [illegible] სამასი ცხენოსანი გაგზავნა.

**თეირანი.** მინისტრები, რომლებიც ფორმისთვის სამსახურიდან გადადგნენ მეჯლისის გახსნის დღეს, ისევ განაგრძობენ საქმის წარმოებას. მეჯლისმა დაასრულა დეპუტატების მანდატების განხილვა. 7 ნოემბერს შეუდგენ პრეზიდიუმის არჩევას. მთელიან რეგენტების დამტკიცებას და ახლანდელ სამინისტროს ნდობის გამოცხადებას. მეჯლისის გახსნის დროს წარმოთქმული სიტყვა-სიტყვის ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა რუსის ჯარის ყოფნას სპარსეთში, უცხოეთის კორესპონდენტებმა არა-სისწორით გადასცეს. სიტყვა-სიტყვაში ნათქვამი იყო: ჩვენ მტკიცეთ გვწამს, რომ ის მწუხარება და აღელვება, რომელიც მოუდო სპარსეთს უცხოელი ჯარის სპარსეთის ტერიტორიაზე ყოფნის გამო, ძალიან მალე გაქრება იმ მეგობრული მოლაპარაკების წყალობით, რომელიც უკვე დაწყებულია და აგრეთვე იმ კატეგორიული შეპირებით და იმ შედეგით, რომელიც ჩვენ მივაღწიეთ ამ მხრით (გამოტოვებულია).

**თეირანი.** მეჯლისის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა მუსტე-ბახუდ-დოულე, თავმჯდომარის თანაშემწეებათ—ხაჯი-სეით-ნასულლა და მომთოხუდ-დოულე.

## რუსეთი.

**ნოვოჩერკასკი.** დამით სატუსაღოდან გაიქცა სამი ტუსაღი. ერთი მათგანი მოკლეს, ერთი დაიჭირეს და ერთიც გაიქცა.

**ლოძი.** დაიჭირეს ორი მუშა, რომლებმაც არეულობის დროს პარტიულ ნიადაგზე მკვლელობა ჩაიდინეს.

**პეტერბურგი.** როგორც ფოსტა ტელეგრაფის მთავარი სამმართველო იუწყება, 5 ნოემბრიდან დიდი თოვლისა და ქარ-ბუქის გამო ტელეგრაფის მუშაობა შესწყდა პეტერბურგსა, ირკუტსკსა, ომსკსა, სამარასა, სარატოვსა, ტამბოვსა, როსტოვსა, ცარიცინსა და თფილისს შორის. მიღებულია ზომები.

**ჰელსინგფორსი.** 6 ნოემბერს სადგურპიტკიანიების ახლოს სახალხო მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს. დაზიანდა რამდენიმე ვაგონი. დაიჭრა რამდენიმე კაცი.

**ტაგანროგი.** კნეინა იუსუფოვას მაღნების მოსამსახურეთა მომხმარებელ დუქანს თავს დაესხა ექვსი შეიარაღებული. შეკრეს იქ მყოფნი, გაიტაცეს 6,000 მან. და გაიქცენ.

**პეტერბურგი.** თუმცა პროფესორმა სასტიკათ აუკრძალა, მაგრამ სტუდენტებმა მაინც გამართეს კრება. პროფესორმა სთხოვა დაშლილიყვნენ და რაკი არაფერი გაუვიდა, პოლიციელები მიიწვია. პოლიციის მოსვლის შემდეგ სტუდენტები დაიშალენ. კრება მოწვეული იყო დისციპლინარულ სასამართლოს განაჩენის გამო, რომლითაც ფერრეის სიკვდილით დასჯის საპროტესტოთ მოწვეულ კრების პრეზიდიუმი თავისუფალ მსმენელებათ გადაიყვანეს.

**ტაშკენტი.** ნამდვილი გაზაფხულის დღეებია. ყვავის ია და სხვა ყვავილები.

**პეტერბურგი.** დაატუსაღეს ქაღალდის ფულის ექსპედიციის ორი მუშა—ძმები როგაჩოვები, რომლებმაც რამდენიმე პაჩკა ოცდახუთ მანეთიანები მოიპარეს. მათი ჩვენებით მიწაში ჩაფლული იპოვნეს 1419 ცალი ოცდახუთიანი. ერთ მათგანს უკვე დაუხურდავებია ფული ხუთი ათასი მანეთისა სამარაში, პენზაში, სიზრანში, პეტროვსკში და სხვაგან.

**პოლტავა.** სემინარიის მოსწავლეებმა გუშინ ხელწერილი დასდვეს, რომ დღეს სწავლას განაახლებდენ, მაგრამ დღეს მაინც არ გამოცხადდენ. ამიტომ სემინარიის მთავრობამ დაადგინა დახუროს სემინარია და პირველ ოთხი კლასის მოსწავლეები თავიანთ სახლებში გაგზავნოს, ხოლო მეხუთე და მეექვსე კლასებში მეცადინეობა განაახლოს.

**რიბინსკი.** პირველი სახელმწიფო სათათბიროს წევრს, ტვერის გუბერნიიდან, სუმბოტინს, სამოსამართლო პალატამ მიუსაჯა 129 სტატიის მეორე პუნქტის ძალით სისხლის სამართლის დებულებისა, ერთი წლით დაპატიმრება.

**ადესა.** სადგურ მთავარ-ადესაზე სათადარიგო პრაპორჩიკს ივანოვს ჯიბეში აუფეთქდა რაღაც ნივთიერება. ივანოვს მარჯვენა ხელის ძვლები დამსხვრეული აქვს, თეძო დაზიანებული. ხალხი აირ-დაირია. ივანოვის სიტყვით აფეთქებულა მის მიერ გამოგონილი უბრალო „სხარიადი“ რაკეტების ასაფეთქებლათ გამოძიება სწარმოებს.

**ვარშავა.** საკათედრო სობოროში გადაიხადეს პანაშვიდი კოლცოვის და აკსაკოვის სულის მოსახსენებლათ. ქალაქის კრებაში შესდგა ლიტერატურულ-მუსიკალური კრება, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება კოლცოვის სახელობაზე სამოქალაქო სასწავლებელში სტიპენდიის დასანიშნათ.

**პოლტავა.** სოფელ ორჟიცაში პირველის ღამეს, თ. შებეკოვის მამულში ცეცხლმა სულ გაანადგურა შენობები. დაიწვა სხვათა შორის 27 ცხენი და 200 ფუთზე მეტი თამბაქო.

**პეტერბურგი.** ქალაქის თვითმართველობაში ალექსანდრეს ზალაში, ლიტერატურული ფონდის ორმოცდაათი წლის აღსანიშნავათ შესდგა სხდომა. სხდომის გახსნის წინ სიტყვა წარმოსთქვა ღარიბ ლიტერატორთა და მსწავლულთა დამხმარე საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარემ, კარეევმა. მას მოუვა სიტყვები, რომლებმაც აღნიშნეს ფონდის 50 წლის არსებობა და მის აწ გარდაცვალებულ მოღვაწეთა თხოვნა. შემდეგ მოისმინეს მისალმებები 30-ზე მეტი დეპუტაციებისა—პეტერბურგის თვითმართველობისაგან, ლიტერატორთა ურთი-ერთ დამხმარე კასისაგან, სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთაგან, და სხვ... ფონდის კომიტეტმა მიიღო აუარებელი მისალოცი დეპეშები, სხვათა შორის ლონდონიდან—ინგლისურ ლიტერატურულ ფონდიდან.

**კატტოვიცი.** პროკურორმა აკრძალა 17,000 ეგზ. 1910 წლის მუშათა კალენდრისა. კალენდარში მოთავსებულია ისეთი წერილები, რომელნიც კლასსიურ ინტერესებს ამწვავებენო.

**ეკატერინოსლავი.** მარიუპოლში აკურთხეს ხალხის მოწერით შეგროვებულ საშუალებით 1905—1909 წლებში თავიანთ მოვალეობათა ასრულების დროს დასჯილ პოლიციელთა სასაფლაოზე დადგმული ძეგლი.

**ვინდავა.** ღამე უეცრათ ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა და რამდენიმე ოევზის საჭერი ნავი გადააუბრუნა. დაიხრჩვა მრავალი მეთევზე.

**მოგილიოვი.** კრუპცაზე მომხდარ მკვლობის მსხვერპლის ნათესავებმა იცნეს ამ მკვლობაზე მოკლული და დაჭერილი ბოროტ-გამძრახველები. ერთმა დაჭერილთაგანმა გაქცევა დააპირა, მარა დაატყვევეს. მას უნახეს არაუის დუქნიდან გატაცებული 202 მანეთი.

**პეტერბურგი.** დღეს მ დებულ „ფინლიანდიის გაზეთში“ დაწვრილებით დაბეჭდილია იმ გამოძიების შედეგი, რომელიც გამოიწვია გენ. გუბერნატორის განკარგულებით, მართლმადიდებელი სამღვდელოების შეურაცყოფის შესახებ გავრცელებულმა ცნობებმა. 12 მათგანმა განაცხადა, რომ მათ შეურაცყოფა არა ერთხელ მიაყენეს. ზოგმა მათგანმა განაცხადა, რომ ქუჩაზე შეურაცხყოფა და სხვა ამგვარი შეურაცყოფა იმდენათ ხშირათ იყო, რომ ბოლოს ყურადღებასაც კი არ ვაქცევდით. უმეტეს შემთხვევაში ამას ბავშვები სჩადიოდნენ. გამოძიებას ისიც გამოურკვევია, რომ ასეთ შეურაცხყოფას დიდების მხრიდანაც ქონდა ადგილი. მოწმეებს ისიც განუცხადებია, რომ საერთო მცხოვრებთა მოზრდილი ნაწილი სამღვდელოებას პატივის ცემით ეპყრობათ. ბეკმანმა საჭიროთ დაინახა სთხოვოს ფინლიანდიის სენატს მიიღოს საჭირო ზომები რომ სასწავლებლის მთავრობამ გააძლიეროს მოსწავლე ახალგაზდობის თვალყურის დევნება.

**ვიატკა.** სარაპულის მაზრაში საერობო კრებამ დაადგინა საყოველთაო განათლება შემოიღოს. უკვე შეუდგენ 31 სკოლის გამართვას. სკოლებს სამინისტრო ფულით დახმარებას დაპირდა.

**მოსკოვი.** ბრონიცკის მაზრის საერობო კრების მოქმედებაში გუბერნატორის მიერ დანიშნულმა რევიზიამ ბევრი უკანონო მოქმედება აღმოაჩინა. გუბერნატორმა კრების არჩევნები და დადგენილებანი გაასაჩივრა.

**პეტერბურგი.** ქალაქის საქმეების კომისიამ განიხილა კანონ-პროექტი სავაჭრო დაწესებულებებში, საქონლის საწყობებში და კანტორებში მოსამსახურეთა ნორმალური დასვენების შესახებ და დადგინა 11 ხმით 10-ის წინააღმდეგ, რომ კვირა—და თორმეტ საუფლისწულო დღესასწაულებზე ვაჭრობა აკრძალულ იქნას.

**ვოლოგდა.** სამოქალაქო სასწავლებლებში ახალი ენების სწავლება შემოიღეს: ვოლოგდის ორ სასწავლებელში—მოწაფეების ხარჯზე. ნიკოლსკის და იარენსკის მაზრაში—ერობის ხარჯზე, სოფელ უსტიანსკში—კერძოთ ქველმოქმედთა ხარჯზე.

### ხ ო ლ ე რ ა.

**პეტერბურგი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 3, არავინ მომკვდარა, ავათ არის 112.

**ეკატერინოსლავის** გუბერნიაში ავათ გახდა 7, ნიკოლაევის მაზრაში, სამარის გუბერნიაში—20, მოკვდა 3, ლენქორანის მაზრაში და თფილისის გუბერნიაში ავათ გახდა და მოკვდა 6, ბაქოში ავათ გახდა 8, მოკვდა 3, კრონშტადში ავათ გახდა ერთი.

## საზღვარ-გარეთ

**ჩერრი** (ილინოის შტატები). წმ. პავლეს [illegible] გახვეულ მუშებიდან 40 ცოცხალი აღმოჩნდა. ცხრა მათგანი უკვე ამოიყვანეს მაღაროდან. ერთმა გადარჩენილთაგანმა განაცხადა, რომ ის საშინელ ტანჯვას განიცდიდა შიმშილის გამო, მაღაროს შესავალთან მრავალი დედაკაცებია თავმოყრილი.

**ვაშინგტონი.** სენტ-პოლიდან იუწყებიან, რომ კავშირის მთავრობამ მოიგო „სტანდარტ ოილ-კამპანიის“ წინააღმდეგ დაწყებული საქმე. კავშირის საოლქო სასამართლომ საზოგადოება უკანონო კორპორაციათ იცნო და დაადგინა მისი დახურვა. განაჩენი ერთი თვის შემდეგ შევა ძალაში თუ არ გაასაჩივრეს. ეს პროცესი დაიწყო მთავრობამ 1903 წელს, ნოემბერში, ტრესტის შვიდი თანამდებობის პირის და 70 ტრესტის ფილიალური განყოფილების წინააღმდეგ. საოლქო სასამართლოს დადგენილების თანახმათ 33 განყოფილება დაუხურავი რჩება.

**რომი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა ტიტონმა და ნიდერლანდიის ელჩმა ხელი მოაწერეს პირობას, რომლის ძალითაც იტალიასა და ნიდერლანდიას შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას სამედიატორო სასამართლო გაარჩევს.

# უკანასკნელი ფოსტა

## რუსეთი

**დუმის გარშემო.** შეკითხვების კომისიამ მიიღო შეკითხვა ტოლმაჩევის უკანონო მოქმედების შესახებ. მას ბრალს სდებენ იმაში, რომ ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორებს ხელს უშლიდა მათი პირდაპირი მოვალეობის შესრულებაში კომისიის აზრით გენერალ ტოლმაჩევს უფლება ქონდა გადაესახლებია ან სამსახურიდან გადაეყენებია რომელიმე პროფესორი, მაგრამ ზოგიერთი ლექციების წაკითხვის აკრძალვის ნება მას არ ქონდა.

**რუსი სუფრაჟისტკები.** ქალთა პროგრესიული პარტიის კლუბმა დაადგინა იშუამდგომლოს მინისტრთა საბჭოს წინაშე, რომ მოსპობილ იქნას კანონმდებლობის 156 მუხლი, რომელიც ქალებს უკრძალავს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში სამსახურს; აგრეთვე იშუამდგომლოს იუსტიციის მინისტრთან, რომ ქალებს უფლება მიეცეთ ნაფიც მსაჯულთა თანამდებობა აღასრულონ.

**არჩევნები ქალაქის საბჭოში.** 3 ნოემბერს დამთავრდა პეტერბურგში ქალაქის საბჭოს არჩევნები. ძველი ხმოსნებიდან ხელ ახლა არჩეულ იქნა 25 კაცი ახალ ხმოსანთა შორის არჩეულ იქნა ა. ა. სტოლიპინი, პრემიერ მინისტრის ძმა.

**სიკვდილით დასჯა.** 3 ნოემბერს პეტ. სამხ. საოლქო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა გლეხ ანოსინს. ანოსინს ბრალდებოდა პეტროზავოდსკში ჟანდარმთა უნტერ-აფიცერ ივანოვზე თავს დაცემა მოკვლის განზრახვით. ივანოვმა ბევრი პოლიტიკური დამნაშავენი აღმოაჩინა.

**ქურდი აფიცერი.** პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე საპიორთა აფიცრის გოდლევსკის. მას ბრალდებოდა მეიერის მაღაზიაში ვაჭრობის დროს საათის მოპარვა. აღმოჩნდა, რომ აფიცერი სხვა „საგმირო“ საქმეებშიაც კარგათ გამოწვრთნილი იყო.

**მრეწველების «შუამდგომლობა».** ამურის მხრის გენერალ-გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა კორეელ და ჩინელ მუშების მისი საგენერალ-გუბერნატოროდან გაძევების შესახებ. ამურის მრეწველებმა გენ.-გუბერნატორს მიმართეს შუამდგომლობით, რომ მუშები არ გააძევონ. შუამდგომლობაში მრეწველები ამბობენ: „კორეელი და ჩინელი მუშები ნამეტანი ჯაფის ამტანი, მუყაითი და მორჩილი არიან, მათი შრომის ხელფასი გაცილებით იაფია რუს მუშების ხელფასთან შედარებითო“.

**ახალი საზოგადოება.** ვარშავის მიდამოებში შესდგა იაფ ფასიანი ბინების ამშენებელი საზოგადოება. საზოგადოების პაი ღირს 25 მანეთი. პაის შეტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ, თითო შაური კვირაში. საზოგადოებას სახელათ „საკუთარი თავშესაფარი“ ქვია.

**მოკითხვის დეპეშა.** მაკლაკოვმა პურიშკევიჩს მიმართა თხოვნით: დამეხმარე, იქნება ნაფიც ვექილის მურავიოვის ცოლი გამანთავისუფლებინო დუმბაძის რისხვისაგანო. მურავიოვის ცოლს დუმბაძემ ვითომდა პოლიტიკური არა საიმე- [illegible] წყვიტა. პურიშკევიჩმა დუმბაძეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ძვირფასო გენერალო! პოლიტიკურმა მტრებმა მომმართეს, ვიშუამდგომლო შენთან ქ-ნ მურავიოვას შესახებ, რომელიც, მათი აზრით, პოლიტიკურ მოძრაობაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა. მიეცი ნება მას იალტაში დარჩენის, სანამ სენისაგან განიკურნებოდეს. თქვენი მოსიყვარულე პურიშკევიჩი“.

დუმბაძის პასუხი:

„ძვირფასო ვლადიმერ მიტროფანეს ძევ! სიხარულით ვასრულებ თქვენ თხოვნას. თქვენი მოსიყვარულე დუმბაძე“.

**საიდუმლო პოლიციის მოხელე.** ელისავეტპოლის საიდუმლო პოლიციის მოხელე ფ. პავლიანი უგზო-უკვლოთ დაიკარგა. პავლიანი სხვადასხვა ბოროტმოქმედებათა ჩადენისათვის სისხლის სასამართლოს წესით პასუხის გებაში არის მიცემული.

**საზოგადოების დახურვა.** ქალაქის საზოგადოებათა და კავშირების საქმეთა საკრებულოს დადგენილებით მოსკოვში დახურეს „სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთა 1 ლი საზოგადოება“. ხსენებული „საზოგადოება“ დაარსდა 1906 წელს. „საზოგადოების“ მიზანი იყო დახმარება გაეწია წევრთათვის სხვადასხვა სახით ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში და სხ. 1907 წ. „საზოგადოებაში“ 1229 წევრი იყო, წელს კი—2,483. „საზოგადოებას“ მოწყობილი ქონდა სასადილო, რომელიც ხარჯების გამოუკლებლათ 10,000 მან. შემოსავალს იძლეოდა; მარტო 1907 წ. სასადილოს გაუცია 40,000 სადილი, წელს კი დღიურათ 800 სადილს იძლეოდა, ბიბლიოთეკა 4,000 ტომი წიგნისაგან შესდგებოდა, საწევრო გადასახადი წლიურათ 2,500 მანეთამდე შედიოდა. „საზოგადოებასთან“ მოწყობილი იყო აგრეთვე საექიმო და იურიდიული დახმარების ორგანიზაცია წევრთათვის. უმუშევარ წევრებს თვიურათ 5 მან. დახმარებას აძლევდენ. „საზოგადოების“ გამგეობა მოთავსებული იყო ქალაქის შუა ადგილას, ამიტომ მოსკოვის სამ განაპირა ადგილებში დააარსეს რაიონული განყოფილებანი. განყოფილება ჰქონდა საზოგადოებას აგრეთვე მოსკოვს გარეთაც. რასაკ- ლია, ასეთი დიდი „საზოგადოება“ დასხვა გვარი პირობებით იყო შეკ- კერძო პირებთან თუ საზოგადო და- ბულებებთან [illegible] დახურვით ბევრი საქმეები მოუწე- ბელი [illegible] რამდენი- არ ... გეობა, მარა დახურვის მიზეზი ვერ- გო. საკრებულოდან პასუხათ მი- რომ „საზოგადოება“ დაიხურა „ მიმართულებისათვისო“, მარა რაში მოიხატება ეს „მავნე მიმართულება“ კი აღარ ახსნეს.

**ცნობის უარყოფა.** ამას წინეთ გაზეთში მოყვანილი გვქონდა „... სლ“. ცნობა სათაურით—„პროვოკა- რი ქალი“, სადაც ნათქვამი იყო, ანნა სერებრიაკოვა ითვლებოდა რა ს- დემ. პარტიის წევრათ, იმავე დროს პოლიციის აგენტი. „რუს. ვედ“. ბეჭდილია სერებრიაკოვის ქმრის—ს- რებრიაკოვის წერილი, რომელიც ა- დებს, რომ მისი ცოლი არასოდეს ყოფილა არც ერთ პოლიტიკურ პ- ტიაში და ყოველივე მის შესახებ გა- თებში მოთავსებული, სიმართლეს მ- ლებულია. ამ ჟამათ ის ცხოვრო- ჩემთან, მოსკოვშიო (ნაჩვენებია ადრეს)- დაბრმავებულია და ისეც ავათმყ- ფობსო და როგორც მე ისე შვილებ- იძულებული ვართ მის გარშემო ატეხი- ლი ხმების შესახებ მას ყველაფერი და- ვუმალოთო. ვინაიდან მას არ შეუძლ- სასამართლოს წესით თავის დაცვა, ამი- ტომ როგორც ჩემს, ისე მის შეურაც- მყოფელთ სისხლის სამართლის წესი- პასუხისგებაში მივცემო.

## საზღვარ-გარეთ

**ინგლისის ბიუჯეტი.** ლორდთა პა- ლატის გადაწყვეტილებამ, რომ ბიუჯე- ტი უარყოფილ იქნას, ძალიან ააშფოთ- ინგლისის საზოგადოებრივი აზრი. ლი- ბერალური პრესა აღნიშნავს, რომ მთე- ლი ინგლისი სასტიკ პროტესტს გამოუ- ცხადებს ლორდთა პალატას. კონსერ- ვატიულ პრესას ეს აზრი სასაცილოთ არ ყოფნის, მისი შეხედულებით ლორ- დების მიერ ბიუჯეტის უარისყოფა არა- ვითარ პროტესტს არ გამოიწვევს. ფი- ნანსიურ „სფერებს“ ბიუჯეტის ბედი დიდათ არ აწუხებთ. მთავრობის დეფი- ციტი ამ ჟამათ 14 მილიონ გირვანქა სტერლინგს უდრის (გირვანქა სტერლინ- გი თითქმის 10 მანეთს უდრის)

**ბრძოლა შკოლისათვის.** საფრანგე- თის სამღვდელოების ბრძოლა საერო შკოლებთან დღითი-დღე მწვავდება. ეპისკოპოსები მოწოდებებს ავრცელებენ, თუ როგორ უნდა მოიქცენ სამღვდელოება და მართლ-მორწმუნე კათოლიკები სახელმწიფო შკოლებთან ბრძოლაში. რეიმ- ნის ეპისკოპოსი თავის მოქმედებაში სხვათა შორის, ამბობს: „სამღვდელოებამ არ უნდა აზიაროს ის მასწავლებელნი, დედები და მამები, რომელნიც საერო შკოლებს უჭერენ მხარს. რაც შეეხება მოსწავლეებს, მათ შორის უნდა დაისაჯონ ისეთები, რომელნიც ამ თავითვე წარმართობას იჩენენ“.

**გრიგალი ვენაში.** ამას წინათ ვენაში საშინელი გრიგალი ამოვარდა, რომელმაც დიდ-ძალი შენობა და რამოდენიმე ადამიანი იმსხვერპლა, მამაკაცებს გრიგალი ჰაერში ისვრიდა და შემდეგ მიწაზე ახეთქებდა. მიძავალი ეტლები თავყირა ბრუნდებოდა, ხეები ილეწებოდა. ბევრს ადგილას ცეცხლიც გაჩნდა.

**რეფორმები ინდოეთში.** ინდოეთში ადგილობრივ მართველობის შესახებ რეფორმები შემუშავებულია ლორდ მორლეისაგან, რომელიც ინდოეთის მინისტრის თანამდებობას ასრულებს. რეფორმების ნიშნობლივ თვისებას შეადგენს უმაღლესი და პროვინციალური საბჭოების უფლებების გაფართოება. ეს რეფორმები ინდოეთის მცხოვრებთ საშვალებას მისცემს მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის მართვა-გამგეობაში. კონსერვატორებმა ამ რეფორმების გამო ერთი განგაში ასტეხეს: ეს დათმობა ბრიტანიის პრესტიჟს დასცემს ინდოეთში და ინგლისის ბატონობასაც ამით ბოლო მოეღებაო.

**ინდოელების შეთქმულობა.** ლონდონის საიდუმლო პოლიციამ ინდოელების ახალი შეთქმულობა აღმოაჩინა. პოლიციამ მიაგნო კონსპირატიულ ბინას, სადაც ორგანიზაციის ხელმძღვანელნი თავს იყრიდენ. აქვე აღმოჩნდა ყუმბარების და იარაღის საწყობი. იპოვეს ყუთები სხვა და სხვა გვარი საწამლავებით გატენილი და სია იმ პირთა, რომელთაც

სიკვდილი ქონდათ გადაწყვეტილი. ამ პირთა შორის არის მინისტრ-პრეზიდენტი ასკვიტიც. ჯერ პოლიციამ მხოლოდ 18 კაცი დაატუსაღა. დატუსაღებულნი ეკუთვნიან რევოლიუციონურ ორგანიზაციას „ჯურას“, რომელსაც ფართო ნიადაგი აქვს ინდოეთში.

**სამხედრო რეფორმა.** ბელგიის დეპუტატთა პალატის სხდომაზე მინისტრ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მთავრობა თანახმაა ჯარში სამსახური განსაზღვროს 15 თვით, როგორც ამას მემარცხენენი თხოულობდენ. მემარჯვენეთა ნაწილი და საზოგადოება აღტაცებით შეეგებენ ამ განცხადებას.

## ახალი ამბები

**მკვლელობა.** 7 ნოემბერს, საღამოს $5\frac{1}{2}$ საათზე, ვაძისხევის ხიდზე, ცხნეთის ქუჩაზე ექვსი ტყვიით დასჭრეს თფილისის მოქალაქე, მაკარ გორშენინი 45 წლისა, რომელიც ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის სტამბაში მეტრანპაჟის ხელობას ასრულებდა. იმ დროს, როცა ის შინ ბრუნდებოდა, ხიდზე მას ხუთი კაცი დახვდა და როგორც ვთქვით, ექვსი ტყვიით დასჭრეს, დაჭრილი გადაიცვალა. როგორც ამბობენ სიკვდილი პირადის ინტერესებითაა გამოწვეული. ეჭვით დაპატიმრებულია სამი კაცი: ი. კირკაშიძე, გ. მაისურაძე და ქალაქ გროზნის მოქალაქე გ. ოგანეზოვი.

**ჟურნალისტთა კრება.** კვირას, 8 ნოემბერს ქალაქის თვითმართველობის შენობაში მოხდა ჟურნალისტთა კრება, რომელსაც 22 წევრი დაესწრო. კრებამ აირჩია ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობის წევრებათ არჩეულ იქნენ: ბ. ო. გრუზენბერგი, მ. ა. ჯაბარი, დ. ს?ასკი და პ. გელეიშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებათ: ი. დანდაროვი, ვ. ელიავა და ა. სალარიძე. შემდეგ ამისა კრება წესდების შეცვლას შეუდგა. შესცვალეს წესდების რამდენიმე მუხლი და სხვათა შორის უარყვეს ჟურნალისტთა ჯამაგირებიდან 2% შეკრება, რაც ამდენხანს სავალდებულოთ ითვლებოდა. დიდი კამათი გამოიწვია საოპერო არტისტთა ამხანაგობის მიერ შემოწირულ 100 მ. საქმემ. პეტრე გელეიშვილი ამტკიცებდა, რომ ეს ფული სასურველი არ არის მივიღოთო და ამის შესახებ თავისი მოსაზრებანიც მოყავდა. კრების დიდი ხმის უმეტესობით გელეიშვილის წინადადება უარყოფილ იქნა. კრების დადგენილებით საზოგადოების წევრებათ მწერლებიც მიიღებიან. ეს მუხლი ახლათ შეიტანეს წესდებაში. კრებამ მიიღო 6 ახალი წევრი. გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა მ. ო. გრუზენბერგი.

**თფილისის ფუნიკულერი.** რადგან 15 ნოემბრიდან ფუნიკულერის მოძრაობა საზოგადოთ შეჩერებულია და ზამთრობით კი საჭიროა ხან-დახან ფუნიკულიორზე ასვლა, ამიტომ საზოგადოებას თხოვნით მიუმართავს ფუნიკულიორის გამგეობასათვის, რომ ზამთრობით კვირაში ერთი დღე მოძრაობა სწარმოებდეს. ამ საქმის შესახებ ფუნ. გამგეობას ქალაქის თვითმართველობასთან მოლაპარაკება აქვს გამართული.

**წყლის გაყვანა ფუნიკულიორზე.** ფუნიკულერიდან მოშორებით 4 ვერსის მანძილზე უპოვიათ წყარო, რომლიდანაც წყლის გამოყვანა შეიძლება ფუნიკულიერზე, რაც ძალიან სასარგებლო იქნება მცენარეების მოსაშენებლათ. ამ მიზნისათვის ფუნიკულერის დირექცია ადგენს ხარჯთ-აღრიცხვას, რასაც მალე ფუნ. გამგეობას წარუდგენს დასამტკიცებლათ.

**გარდაიცვალა** თფილისის მე-3 გიმნაზიის დირექტორი ი. ნ. გოროდენსკი, რის გამო გიმნაზიაში გუშინ სწავლა შეჩერებული იყო.

**წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სკოლის** მასწავლებლათ არს. წითლიძე მიუწვევიათ. სკოლასთან იხსნება მოსამზადებელი კლასები.

**თფილისის ტრამვაი.** რადგანაც დღეს ქალაქის მიერ დანიშნული ტრამვაის მეთვალყურე კომისიამ ტრამვაის სახელოსნოში აშენებული ახალი ვაგონები უნდა გასინჯოს, დირექცია მხოლოდ ახლა შეუდგა სახელოსნოს დასუფთავებას, რისთვისაც გუშინ 30 მუშა დაიქირავა.

**ნამესტნიკის ნებართვით** სიეზდებზე დასასწრებლათ, მაგალ., ბუნებისმეტყველთა, ექიმებისა და სხვ. იგზავნება კ. სატუნინი, რომელიც სამეცნიერო მუშაობისათვის ივლის მოსკოვის უნივერსიტეტის ზოოლოგიურ მუზეუმში.

**სამსახურიდან განდევნეს** უბნის ზედამხედველი ხალიაპინი, რომელსაც სამსახურის დროს უფლებათა გადაჭარბება ბრალდება.

**პროფესორი ბ. მ. ხალატიანი.** თფილისში ჩამოვიდა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ხალატიანი, რომელსაც ყარსის ოლქში, ბაგარანის მიდამოებში, ბევრი არქეოლოგიური აღმოჩენანი მოუხდენია.

**1000 მ. გადახდა.** ტრამვაის დირექტორმა ბატაილმა 1000 მ. შეიტანა ქალაქის კასაში, მადერის მიწის საყიდლათ.

**სახელოსნო სამმართველოს** ყოფილმა თავმა რაფაელოვმა დაწესებულების ყველა საქმეები უკვე ჩააბარა ახლათ არჩეულ თავს სე?ობიანცს.

**თფილისში მოელიან ბაპტისტებს** —მქადაგებლებს, ვ. სტეფანოვს და ე. აველიანოვს.

**უფასო და იაფ სასადილოში,** რომელიც დაარსებულია კავკასიის სომხურ საქველმოქმედო საზოგადოების მიერ, ყოველდღე სადილობს 240 მოსწავლე ორივე სქესისა. სადილი ერთი თავი საჭმელისაგან შესდგება. პურს საყოფათ იძლევიან. დღიური გასავალი 18 მან. 20 კ. უდრის.

**წარმომადგენელი სამეურნეო სიეზდზე.** კავკასიის მეურნეთა სიეზდზე დასასწრებლათ მეურნეთა საზოგადოებას სოხუმში ვ. მარკოვიჩი აურჩევია.

**ბოტანიკური ბაღი ბაკურიანში.** მიწათ-მოქმედების მთავარმა გამგეობამ თავის რწმუნებულთ აცნობა კავკასიაში, რომ საკითხი ბაკურიანში ბოტანიკურ ბაღის გაშენებისა გადაწყვეტილიაო. ბაღის დირექტორათ ა. როლოვს ასახელებენ.

**საქონლის ბირჟა.** სავაჭრო სამინისტრომ პრინციპიალურათ გადაწყვიტა, რომ ბათუმში საქონლის ბირჟა დაარსდეს.

**ს. დიდი-ჯიხაიშის საზოგადოებამ** (ქუთ. მაზრა) განაჩენი დაადგინა და მთავრობას ნებართვა და დახმარება სთხოვა ამ სოფელში სამოქალაქო სასწავლებლის დასაარსებლათ, რისთვისაც საზოგადოება თავის მხრივ სასკოლო ადგილს სწირავს და ერთ-დროულათ 3,000 მან. დახმარებას კისრულობს. როგორც გავიგეთ, საზოგადოების განაჩენს მალე დაამტკიცებენ.

**ნამესტნიკმა სამშობლოში დაბრუნების ნება დართო** ნოვო-ბაიაზეთის მაზრის მცხოვრებს (ერევ. გუბერ.) ივანე გულარსონციანცს, რომელიც ადმინისტრატიული წესით გადასახლებული იყო.

**საქველ-მოქმედო წარმოდგენა.** მე-2 საქალებო საკვირაო სკოლის ზედამხედველ ქალს მ. ტერ-მიქაელიანს გუბერნატორმა ნება დართო 17 ამა თვეს „თფილისის საკრებულოში“ წარმოდგენა გამართოს ხსენებულ სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოთ.

**დახმარება მინდვრის თაგვთან და კალიასთან საბრძოლველათ.** მიწათ მოქმედების მთავარ გამგის რწმუნებულის არხიპოვის თავმჯდომარეობით მომხდარ საგანგებო თათბირმა მოხსენება დაამზადა ნამესტნიკთან წასადგენათ, რათა დარჩენილ საერობო თანხიდან გადადებულ იქნეს 12,000 მ. კალიასთან და თაგვებთან საბრძოლველ საჭიროებისათვის. ლენქორანისა და ჯევატის მაზრებში 150,000 დეს. სივრცეზე გამრავლებულან მინდვრის თაგვები.

**ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების** წევრთა კრება დანიშნულია 14 ნოემბერს; კრება გამგეობის ახალ წევრებს აირჩევს და სხვათა შორის შუამდგომლობას აღძრავს ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა ქალაქმა ერთი ამბულატორია დაუთმოს საზოგადოებას, რომ იქ სპეციალურათ ჭლექიანების აქიმობა ხდებოდეს.

**ზეითალ ექიმთა საზოგადო** კრება დანიშნულია 13 ნოემბერს სამედიცინო საზოგადოების შენობაში. კრება გაარჩევს მიმდინარე მორიგ საკითხებს და სხვათა შორის, მოხდება არჩევა რუსეთში საზეითალო სიეზდზე გასაგზავნ დელეგატებისა.

**მიწის ძვრა.** როგორც გაზ. „ტერეკ“ ატყობინებენ, 31 ოქტომბერს, ვლადიკავკაზის რკინის გზის სადგურის მიდამოებში მიწის ძვრა მოხდა. მიწის ძვრა იმდენათ ძლიერი იყო, რომ შენობების კედლები დაიბზარა და ბევრ ადგილას კიდეც ჩამოინგრა.

**ახალი წიგნი.** ბაქოში დაიბეჭდა ახალი წიგნი ბელოკონსკისა—„რა არის ერობა?“, რომელიც უკვე გადათარგმნილია თათრულ ენაზე. წიგნი პოპულიარულ გასაგებ ენითაა დაწერილი და ღირს 12 კაპ.

**ტელეფონი თფილისიდან ბაქომდე.** ფოსტა-ტელეგრაფის ინსპექტორმა ა. ეილემ შუამდგომლობა აღძრა თფილისიდან ბაქომდე ტელეფონის გაყვანის შესახებ.

**ბაქოს პროფ. კავშირის ყოფილი მდივანი** ჯაფარიძე დააპატიმრეს, რომელიც ახლა ბაქოს ციხეში იმყოფება.

**სადგურ ჩარჯუიდან** გვატყობინებენ, რომ 3 ნოემბერს იქ საღამოს რვა საათზე, ვიღაც ბოროტ-მოქმედი გასაძარცვავათ თავს დაესხა სპარსეთის მცხოვრებს და რამდენიმე ადგილას დანით დასჭრა. დამნაშავე შეიპყრეს.

**ჩხრეკა-დაპატიმრება.** 8 ნოემბერს ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 42 უმუშევარი.

***

რამ დაგადონა, ჩემო სულის დგმავ,
რათ შესცქერ სოფელს სულით მწუხარე?..
ნუ თუ დღით თვალს მზე არა გტაცებს
და ღამით მთვარე, შუქ-მოელვარე?!.
გახედე ველსა, სულის ჩამდგმელსა,
ზეცას გადაშლილს, ლაჟვარდოვანსა;
გახედე ბაღნას, ცხოვრების ედემს,
ტურფას, გულ-წარმტაცს, ყვავილოვანსა!..
იქა სუმბული ნაზათ იზრდება,—
ქალთა ყვავილი, თვით ნაზი ქალი
და ხეივნის ყურძნის მარცვალი
გამსჭვირვალე, ვით ბროლ-თვალი!..
აქეთ ხანჩქერი გადმოსჩქრიალებს
დრიალ-სრიალით... ქაფ-მორეული;
მიდამოს ცეცხლის ნაპერწკლებს ესვრის
და მიჭქრის თავქვე გონ-არეული!..
იქ, მოშორებით, მთა ამართულა,
მწვანით მოსილი, გრძნობის დამტყვევი
და ძველსა ზღაპრებს ყურს ჩაჩურჩულებს
მთის ძირას შავად ჩამკვდარი ხევი..!.
ნუ თუ შენს სულსა, ჩემო შვენებავ,
ბუნების მზერა არ აღფრთოვანებს
და ყოველივე, რასაც კი უმზერ,
გულს გიკლავს და სულს გისევდიანებს?!.
ასეთი ყოფით ადრე დასჭკნები,
ასეთ ცხოვრებით—ადრე მოკვდები!
დაკარგავ საზღვარს იმა სოფლისას,
სადაც ვეღარ ვერ დაბრუნდები!..

—

ავერ, ზღვის პირას ყინული დნება,
დაჭქრის ნიავი ნელ-მოსისინე;
მიდამოს მკვდართა მზე ეფინება
და ჭვრენს ფირფიტი გულით მომდნარე!..
შენ სიცოცხლეში—სიკვდილსა ჭვრეტავ,
ყინულთ დნობაში—გულის დნობასა;
ქარის სისინში—მოთქმას, კაეშანს
და ქარიშხალში ქვეყნის გმობასა!..
ცისა დრუბელი—ცრემლთ დვრას გასწავლის,
ნათელთ ჩაქრობა—კიდევ გვსვს თვალებს;
ბუნების შვილო, დასტირ ბუნებას
და თვით ბუნება შენში ვაღადებს!
გამოუცნობელ, ჩამქრალ მნათობებს
იზიდავ შენსკენ გონების თვალით
და რა მზერ ყველგან ამაოებას,—
სულს და გულს იწვავ მწვავ ცეცხლის ალით!..
ასეთი ყოფით—ადრე დასჭკნები,
ასეთ ცხოვრებით—ადრე მოკვდები;
დაკარგავ საზღვარს იმა სოფლისას,
სადაც ვეღარ ვერ დაბრუნდები!..

ბ. ახოსპირელი.

## კიდევ ძველი სექცია და ახალი წრე.

(დაგვიანებული პასუხი)

ისე კალამი არავინ მოუსვა სექციის გარშემო ატეხილი კამათის შესახებ, შინაურმა თუ გარეულმა, რომ ჩემთვის მუჯლუგუნი არ ეკრა. ეჯიბრებოდენ ერთმანეთს, რომელი უფრო მაგრათ „მომცხებდა“. ეს ვარჯიშობა მათთვის მით უფრო ხელსაყრელი შეიქნა, რომ მე ხმას არ ვიღებდი. ვფიქრობდი: რამდენჯერაც ამ ყმაწვილებს ცხვირს დააცემინებს, იმდენჯერ ღვთის წყალობა სად მივაგებო-მეთქი. მე მეგონა თუ კარგათ ვიქცეოდი, მაგრამ ეხლა, როდესაც ეს ჩემი „სიმუნჯის“ პოლიტიკა შეუწყნარებელ ცოდვათ ჩამითვალეს, მეც იძულებული ვარ სიჩუმე დავარღვიო და პასუხი გავცე. წინდაწინვე კი ვაცხადებ, რომ, რაც უნდა გამიჯავრდენ, ეს იქნება ჩემი პირველი და ვგონებ უკანასკნელი პასუხი. საპასუხოთ არც დრო მაქვს და არც სურვილი და, რომ კიდევ ვინმეს გამოვეპასუხო, ამისთვის საჭიროა ერთი იმდენი ლანძღვა, რაც დღემდის მომიძღვნეს...

დავიწყოთ ისტორიით. ვეცდები, რამდენათაც შესაძლებელი იქნება, მოკლე და სქემატიური იქნეს ჩემი პასუხი.

ჩვენ ოთხ მოკავშირეში (მე, ქ-ნნი დემურია და რომანიშვილი და ს. ტოროშელიძე) მხოლოდ მე ვიყავი რეორგანიზაციის წინააღმდეგი. რამდენიმე თვის შემდეგ დავთანხმდი რეორგანიზაციას, რადგან აშკარათ დავრწმუნდი, რომ სექციის ზოგიერთ წევრებს არამც თუ შეძლება, არამედ თვით შრომის სურვილიც არა აქვთ. თურმეტ კრებიდან ზოგი სამის მეტს არ დასწრებია. ეს გახლდათ დაახლოვებით მაისში და სექციაშიც დაისვა რეორგანიზაციის შესახებ კითხვა, რომლის გადაჭრასაც ერთ თვეზე მეტი მოვანდომეთ. ამასთანავე მეორე კითხვა წარმოსდგა გადასაწყვეტათ. სახელდობრ, ვისი სექცია ვართ ჩვენ,—სახალხო უნივერსიტეტის, თუ დრამატიული საზოგადოების და დახეთ მუხანათობას, ეს უკანასკნელი საკითხი ჩემი და ბ. ტ—ძის ხმით გადაწყდა უნივერსიტეტის სასარგებლოთ. მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყო და ცხარეთაც გვეკამათებოდა ქ ნ რომანიშვილთან ერთად ბ-ნი ჯაბაურიც—ის ჯაბაური, რომელიც ეხლა თავზე კაკალს გვამტვრევს და გვიკიჟინებს: უნივერსიტეტთან ყოფნას რა სჯობიაო!..

დაბოლოს, როგორც იქნა, საკითხი გადაწყდა და ჩვენ მოკავშირეთა ღალატის გამო სარეორგანიზაციო კომისიაში გავიდენ არა მოკავშირეთა მიერ დასახელებული პირები, არამედ სრულებით სხვები, ამასობაში ჩვენ: მე, ბ. ტოროშელიძემ, დ. დუმბაძემ და კ. შათირიშვილმა განვიზრახეთ სექციისა და აგრეთვე სცენის მოყვარეთა და მოღვაწეთა დიდი ხნის სურვილის განხორციელება და შეუდექით დამოუკიდებელი წრის წესდების შედგენას. წესდება უკვე შემუშავებულ—გადაწერილი იყო და ხელი მოწერილი ჰქონდა ყველას როდესაც უნივერსიტეტის ერთი წევრისაგან გავიგე, რომ ახალ სექციაში ძველი წევრებიდან სარეორგანიზაციო კომისიას მხოლოდ სამი აერჩია. (ესე იგი, თოთხმეტიდან თერთმეტი დაითხოვეს და სამი აირჩიეს) მე და ბ. ტ—ძე ამ თერთმეტთა რიცხვში მოვყევით. უნივერსიტეტის წევრმა ჩემი აზრი მკითხა. მეც, აღელვებულმა იმ შეუწყნარებლის სიბეცით, რომლითაც სხვის გავლენის ქვეშ მყოფ ბ. ვანო დურგლიშვილს უმოქმედია და ბ. დუმბაძისაგან მოტყუებულმა, რომელიც ირწმუნებდა, რომ ძველი წევრებიდან მხოლოდ ორი-სამი დავითხოვეთ, თორემ დანარჩენები ყველანი დარჩნენ, გულწრფელად ვუპასუხე: ამ საქმეში ჩემი მამოქმედებელი ძალა იყო მხოლოდ საქმის სიყვარული, მაგრამ, რადგანაც ამ ვაჟბატონებმა მადლი მატლათ გადააქციეს, საქმის ინტერესები უკუ-აგდეს (არა მგონია საქმისათვის მე, ბ. ტ—ძე და ნ. გოცირიძე უფრო უსარგებლო ვიყავით, ვიდრე ახლად არჩეული ძველი წევრები) და პირადი ანგარიშების მიხედვით იმოქმედეს, მიტომ ჩვენ სამნი, *) ვგრძნობთ რა სრული სიმართლეს ჩვენკენ, მაგათ ამ ჩვენ მართალ პოზიციას უბრძოლველად არ დავუთმობთ და ისე მოვიქცევით, როგორც საქმის ინტერესები მოითხოვენ თქო ამას მოჰყვება ძალთა არა სასურველი დაქსაქსვა, მუშათა მომეტებული ნაწილი ჩვენსკენ წამოვა, უმცირესი იმათკენ, ჩვენც დავსუსტდებით და ისინი ხომ არა იქნებიან რამეთქი. და ვურჩიე ეს გარემოება მიეღო მას მხედველობაში.

აი, ალბათ ეს სიტყვები დაუხვევიათ ხელზე ჩემ მოწინააღმდეგეთ, როცა გაიძახიან: „სვირელმა სთქვა:—ჩემი აშენებულია სახალხო თეატრი და მევე დავანგრევო“. ზემო თქმულიდან ამნაირი დასკვნის გამოყვანა ყოვლად შეუძლებელია და ამიტომ არ იქნება ურიგო დამისახელებდენ სად, როდის და რა პირობებში ვთქვი აშენება-დანგრევის სიტყვები.

მაგრამ დავყვეთ დაბლა. უნივერსიტეტმა სია არ დაამტკიცა, სექციის კრებები არ განახლდა, სამუშაო დრო ახლოვდებოდა, მუშაკნი კი არსად სჩანდენ. ერთი სიტყვით უიმისოდაც აღწერილი მდგომარეობა კიდევ უფრო აირია. იმ დღეებში, ე. ი. აგვისტოს დამლევ რიცხვებში შემხვდა ბ. ჭიჭინაძე, რომელსაც შემდეგი ვუთხარი,—სხვების რა მოგახსენო და მე კი ჩემის ამხანაგებით საქმის დაწყებას ვაპირებ. რეჟისორს წერილი უკვე მივსწერე, და, ვისაც უნდა მოვიდეს და იმუშაოს-მეთქი. ამასთანავე წინადადება მივეცი ახალი წრის წესდებაზე ხელი მოეწერა. ბ. ჭიჭინაძემ მუშაობის გეგმა მომიწონა, ხელის მოწერაზე კი ღიმილით მითხრა, თუ შენ გადიხდი სამ მანეთს დიდის სიამოვნებით მოგიწერ ხელს, თუ არა და არაო.

ამ რიგათ და ასეთ ცუდ პირობებში განახლდა მუშაობა. დანარჩენი წევრები თან და თან მოდიოდენ ჩვენთან. მაგრამ აბობოქრებული ვნებათა ღელვა არც ერთ მხარესაც არ ცხრებოდა. ბ. დურგლიშვილი დაჟინებით მოითხოვდა უნივერსიტეტისაგან სიის დამტკიცებას. საქმე ისევ რთულდებოდა. აშკარათ სჩანდა საქმეს პატრონი არა ჰყავდა. ამას ზედ დაერთო შიში, ვაი თუ თეატრის დარბაზს სრულებითაც გამოგვასალმონო და ამიტომ გადავწყვიტეთ წესდების ამოქმედება.

და სწორეთ აქ იყო, რომ დღემდის უჩინარი და უხილავი უნივერსიტეტის გამგეობა გამოჩნდა და „ხაზეინის“ კილოთი შემოგვძახა:—როგორ ბედავთო! ცოტა არ იყოს, ასეთი შემოძახილი გამიკვირდა. მართალი გითხრათ, მე მქონდა თითო—ოროლა პირის ხათრი და პატივისცემა და არა იმ დამოკიდებულებისა, რომელიც თურმე ჩვენსა და უნივერსიტეტს შორის არსებულა, ვინაიდან არც ჩვენ უნივერსიტეტის და არც უნივერსიტეტმა ჩვენი „ყოფნა-არა-ყოფნის“ ისტორია არ ვიცოდით.

აქ ურიგო არ იქნება შემდეგი გავაცნოთ მკითხველს. ჩვენ, (ე. ი. ძველიდანვე სახ. თეატრში მომუშავენი, როდესაც ჯერ სახალხო უნივერსიტეტის ჩანასახიც არსად იყო) იძულებული გავხდით წარმოდგენების უფლების მოსაპოვებლათ შევკედლებოდით სახალხო უნივერსიტეტს. რისთვის? იმიტომ რომ სახალხო კითხვების კომისია, რომლის სექციასაც ჩვენ შევადგენდით იმ ჟამათ აღარ მოქმედებდა. ჩვენ ამნაირათ შევიქენით ძალათ შეჩეჩებული, ძალათ მიწეპებული ხორცმეტი უნივერსიტეტის ორგანიზმზე. და სწორეთ ესაა მიზეზი, რომ ამ უკანასკნელ ხანებამდის არც კი იცოდა უნივერსიტეტმა სექცია არსებობდა თუ არა. ერთხელაც არ აღძვრია უნივერსიტეტის გამგეობას ცნობის-მოყვარეობის სურვილი გაეგო რას აკეთებდა თურმე მისი თეატრალური სექცია. დალოცვილებს მხოლოდ მაშინ გავახსენდებოდით ხოლმე, როცა დავთრებში ჩვენ მათ მოვალეთა რიცხვში ამოგვიკითხავდენ და წერილებით თუ სიტყვით გვითვლიდენ:—ვალათ წაღებული თუთხმეტი თუმანი მალე გამოგვიგზავნეთო.

თვით მაშინაც კი, როდესაც ჩვენი „ყოფნა არ ყოფნის“ საკითხი წყდებოდა ზუბალაშვილის სახლის გამგე კომისიაში, მიუხედავათ ჩვენი წერილობითი თხოვნა-მუდარისა, უნ—ტის გამგეობამ ყურადღება არ მოგვაქცია და ქუჩაზე დაგვყარა. მაშინ არ აღმოგვიჩნდა არც „მეგობარი“ და არც „იკა“, რომ პატრონობა გაეწია. დღეები ზუბალაშვილის სახლში (თვეში სამი დღე) ქართულ დრამატიულ საზოგადოებას გადასცეს. და ამნაირათ ქართული სექცია ან უნდა ისევ ავჭალის აუდიტორიაში დარჩენილიყო და ან სულ ხელი უნდა აეღო მოღვაწეობაზე. ჩვენ არც ერთი ვქენით და არც მეორე. წავედით დრამატიულ საზოგადოების გამგეობასთან და დავეღრიჯეთ. დრამ. სახ. გამგეობა ჯერ სულ არ გვაძლევდა დღეს. მერმე დიდი ვაჭრობა-მუდარის შემდეგ მოგვცა მხოლოდ ორი დღე. შემდეგ მესამეც დაგვითმო, მაგრამ იმ პირობით, რომ აქ უკანასკნელ დღეს, როცა უნდოდა, მაშინ წაგვართმევდა. და ისიც (გთხოვთ ამ გარემოებას მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. დრ. გამგეობამ დღეები მისცა არა სექციას, არამედ მის რამოდენიმე წევრს, რაც თავის ოქმში კიდევაც აღნიშნა. არ ვიცი რას აკეთებდა ამ დროს უნივ. გამგეობა, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ იგი ჩვენთვის მაშინ თავს არ იცხელებდა.

სვ. სვირელი.

(შემდეგი იქნება)

*) ბ. ტოროშელიძე იმ ჟამათ თფილისში არ იმყოფებოდა, მაგრამ მე მაინც გავკადნიერდი და ბ. ტ—ძე. მის დაუკითხავათ ჩემი აზრის თანამოაზრეთ ვაღიარეთ.

## პროვინცია

**ოზურგეთი.** 26 ოქტომბრიდან დაწყებული სასალდათო ახალგაზრდათა გაწვევა ჩოხატაურის საბოქაულოში 31-ს

დამთავრდა. ამ ჟამათ ჩამოსულია ლანჩხუთის საბოქაულო, რომლის მოქმედება გასტანს 9 ნოემბრამდე; შემდეგ ამისა კი, ოზურგეთი და მასთან ერთად გურიანთის საბოქაულო. საბოლოოთ კი დამთავრდება 16 ამ თვეს.

— დრამა ფულების მობოჭვას ენერგიულათ შეუდგენ სოფლის მოხელეები თითქმის ყველა საზოგადოებებში. როგორც გადმოგვცეს, ფულების ასაღებათ ყოველივე მკაცრ საშვალებებს ხმარობენ.

— ქალაქის გამგეობის ფინანსიური მხარე დღეს კრიტიკულ მდგომარეობაშია. მიმდინარე წლის აუცილებელი ხარჯებიც კი ვერ დაუკმაყოფილებია. კერძო მოვალეებით ხომ ყოველდღე გაჭედილია გამგეობის დარბაზი.

— ამ 5—6 თვის წინათ წარდგენილი ოზურგეთის დრამატიული საზოგადოების წესდება სათანადო მთავრობას დღემდე არ დაუმტკიცებია, თუმცა ერთმა კორესპოდენტმა ის უკვე დაამტკიცა „სახ. გაზეთში". საჭიროა ვისიც ჯერ არს იზრუნოს საქმის დასაჩქარებლათ.

— ქალაქის წიგნთსაცავ-სამკითხველო უსახსრობის გამო ლამის არის დაიკეტოს. ამ ჟამათ ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების აგენტმა ანგარიშის გაუსწორებლობის გამო (როგორც გადმოგვცეს, სამკითხველოზე ირიცხება ჟურნალ-გაზეთების 35 მანეთამდე) გაზეთებს გზავნა შესწყვიტა. შეწყვეტილია აგრეთვე სატახტო ქალაქების ჟურნალ-გაზეთების გზავნაც. საჭიროა გამგეობის წევრებმა, (ზოგი მათგანი ისე გაურბის სამკითხველოს, როგორც თათარი ღორის ხორცს), ყურადღება მიაქციონ სამკითხველოს უნუგეშო მდგომარეობას, თორემ მარტო რეკლამისათვის თავის არჩევა საქმეს ვერ უშველის.

— 3 ნოემბერს ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ გაიმართა სალიტერატურო-მუსიკალური საღამო. თუ არ მივიღებთ მხედველობაში გადაჭარბებულ დაუსრულებელ სახუნჯო სიმღერებს ჩონგურზე და შეშლილის წერილების სუსტათ წაკითხვას, საღამო „გვარიანათ" ჩატარდა. როგორც გადმოგვცეს, ხარჯების გამოკლებით წმინდა შემოსავალი დარჩა 50 მანეთამდე.

— როგორც გადმოგვცეს, ამას წინათ დაპატიმრებული ქალაქის ხმოსანი მანასე თოთიბაძე სათანადო მთავრობის გადაწყვეტილებით 3 თვეს დაჰყოფს სატუსაღოში. მას ბრალსა სდებენ თითქოს ამას წინათ ადგილობრივ ჰაუპტვახტიდან გაპარულ პლასტუნებს ღამე გაათევინა.

—

**ს. ასკანა** (გურია). ასკანის საზოგადოებამ მიმდინარე წლის განმავლობაში ბევრი ჭირ-ვარამი გამოსცადა. ზოგიერთ „მოღვაწების" წყალობით მთავრობამ ცნობა მიიღო, წარსულ აპრილ-მაისში თითქოს რაც გურიაში „საეჭვო" პირებია, ყველა თავს იფარავდეს ასკანაში, რისთვისაც სოფელს დაემუქრენ: თუ არ გასცემთ ყველა „საეჭვო" პირებს, მთავრობის მამასახლისს და „სტრაჟნიკებს" გამოგზავნითო. ის იყო, ხალხი ყოველ დღეს მოელოდა მუქარის ასრულებას, რომ ვიღაცამ ჩოხატაურის ბოქაულის თანაშემწის, ასკანისავე საზ. მცხოვრების, გიორგი ასათიანის სახლს ცეცხლი გაუჩინა; სახლი მახლობელი მეზობლების მეცადინეობით დაწვას გადარჩა, მაგრამ მეორე-მესამე დღეს გამოცხადდა სოფლის სამმართველოში ჩოხატაურის ბოქაული, მოუყარა საზოგადოებას თავი და მოსთხოვა ბოროტ-მოქმედნი. საზოგადოებამ ზომები მიიღო, მარა დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს; ამის შემდეგ ადმინისტრაციამ მუქარა შეასრულა და მამასახლისი გამოგზავნა სამი „სტრაჟნიკით". მამასახლისის მოსვლის რამდენიმე დღის შემდეგ, ერთი „სტრაჟნიკი" ვიღაცამ მოჰკლა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაბრაზა ადმინისტრაცია და ხალხს 3000 მ. ჯარიმა სამი დღის განმავლობაში გადაახდევინეს მასთან უბრძანეს „სტრაჟნიკის" მკვლელი მოენახათ და ჩაებარებიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეგზეკუციით იმუქრებოდნენ. ხალხმა აირჩია კომისია ორმოცამდე კაცისაგან, და დაავალა დამნაშავეთა მონახვა. კომისია გულმოდგინეთ შეუდგა საქმეს, ხალხიც მოუთმენლათ მოელოდა შედეგს, მარა მოლოდინი არ გამართლდა და კომისია რაღაც მიზეზების გამო გამოძიების შედეგს არ აცხადებს. ხალხი კომისიას რამდენიმეჯერ დაეკითხა თუ რა გააკეთა მან, მაგრამ მათგან პასუხი არ სჩანს. რა მიზეზით არ ვიცით; ჩვენი აზრით საჭიროა ხალხი გაეცნოს კომისიის მიერ გამოძიებულ საქმეს, რაიც დარწმუნებული ვართ, თუ ბოროტ-მოქმედ პირებზე საზოგადოებას ვერ მიუთითებს და არ აღმოჩნდებიან ის პირნი რომელთა წინდაუხედავმა მოქმედებამ საზოგადოება ასე დასტანჯა, ის ხმები და მითქმა-მოთქმა, რომელიც ხალხში იყო გავრცელებული იმ ხანებში და, თუ არ ვცდები, დღესაც არ უნდა იყოს სრულიად მოსპობილი, გაიფანტება და ხსენებულ საქმეში უდანაშაულონი მართალი გამოვლენ. ჩვენი აზრით კომისიის ასეთი მოქმედება საქმეს არ ავნებს—საზოგადოებაში არევ-დარევას კვლავ არ შეიტანს და საქმის ვითარებას კი გააცნობს ხალხს.

გამვლელი.

—

**აბაშა** (სამეგრელო). მთავრობამ უკვე დაამტკიცა საავადმყოფოს გახსნა დ. აბაშაში 1 ნოემბრიდან კიდევაც იწყებს მოქმედებას. გამგე-ექიმად დაუნიშნავთ ბ-ნი გ. ი. ჟორჟიკია. არ არის გამორკვეული, ვის ნიშნავენ ფერშლებათ. გამორკვეულია მხოლოდ ის, რომ ადგილობრივ ფერშალ სტ. გდ. გაბილაიას უარი მიუღია ამ ადგილზე. ფერშალი გაბილაია დიდი ხანია, რაც აბაშაში თავისუფალ პრაქტიკას ეწევა. ის ცნობილია, როგორც საუკეთესო ფერშალი და ბევრი ღვაწლიც მიუძღვის აქაურ მცხოვრებთადმი. მაგალითად, ის უფასოდ ასრულებს ადგილობრივ სასწავლებლის ფერშლის მოვალეობას და სხვ. ყველას უკვირს, რომ გაბილაია არ ინიშნება ფერშლათ ჩვენს ახალ საავადმყოფოში. მეტის დაპარაკი იმაზე, თუ რამდენათ საუკეთესოა ადგილობრივ პირობების და მცხოვრებლების მცოდნე პირის ყოლა ისეთ საავადმყოფოში, სადაც ადგილები ავადმყოფთათვის განსაზღვრული იქნება და ამ ადგილების დათმობა ღარიბებს ელემენტებს უნდა ერგოს, მაგრამ ჩვენი „ჩინოსან"-ექიმები როდი აქცევენ ამ გარემოებას ყურადღებას?!..

საავადმყოფოსათვის დაუქირავებიათ მურზა კაჭარავას სახლი. უკეთესი სახლი აბაშაში არც შეიძლება, მაგრამ არც ეს სახლია საავადმყოფოსთვის შესაფერი. იმედია, რომ მალე საავადმყოფოსთვის საკუთარი სახლი იქნება აშენებული.

სწავლა-აღზრდის მოთხოვნილება ჩვენში კარგა ხანია მომწიფებულია. მთავრობას ყოველ წინადადებას ამა თუ იმ ტიპის სასწავლებლის დაარსებაზე ხალხი ყოველთვის დიდის თანაგრძნობით ეპყრობა, მაგრამ ეს წინადადებები ყოველთვის წინადადებათ რჩება. ამ ნახევარი წლის წინეთ მარტო კვათანის საზოგადოებამ გამოსთქვა სურვილი აბაშაში ექვს კლასიანი სასწავლებლის დასაარსებლათ 10,000 მანეთის გადახდაზე, ნაესაკოვისამ 1000 მან. და სხვა. მოთავეებია საჭირო, თორემ აქ ბევრი კარგი საქმეების გაკეთება შეიძლება.

— მადლობის ღირსია ადგილობრივი ორკლასიან სასწავლებლის საპატიო მზრუნველი ბ-ნი დ. ჟვანია. მისი ხარჯით (200 მ.) შეუდგებათ ახალი შენობა ამ სასწავლებლისა. სასწავლებლის სპეციალური თანხით და დირექციიდან დახმარებით ძველი შენობა დახურეს ცინკის ფურცლით. როგორც სავაჟო, ისე საქალებო სასწავლებლები, ეს ერთად-ერთი კულტურული დაწესებულებები ჩვენს დაბაში, შედარებით მშვენიერ სანახაობას წარმოადგენენ. აბაშაში 10-მდე მასწავლებელია. მათში რამდენიმე საშუალო განათლებით.

— აგერ რამდენი ხანია, რაც ცდილობენ სამკითხველოს გახსნას, მაგრამ ამაოთ. მიუმართავთ თხოვნით ჯერ კიდევ მაისიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, საიდანაც პასუხათ მიუღიათ: „სენაკში არის განყოფილება და მას მიმართეთო". სენაკის განყოფილებისაგან, რომლის თავმჯდომარეთ ითვლება დ. ჟვანია, ჯერაც არ არის პასუხი. სამკითხველოსთვის ფულიც კი ყოფილა მოგროვებული 60 მანეთამდე.

იაგანი.

# უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

**ინგლისის ბიუჯეტის გარშემო.**

ინგლისის და შოტლანდიის ყველა კუთხიდან ჩავიდნენ ლონდონში მემკვიდროებითი კანონმდებელნი (ლორდები) რომელთა მიზანია ბიუჯეტის „დასამარება". ეჭვი არაა, მეორეთ კითხვის დროს ბიუჯეტს ლორდთა პალატა უარყოფს და ამით ქვედა პალატის 6 თვის ნამოქმედარს „წყალს გაატანს". ჩამოსულ ლორდთა შორის ისეთებიც მოიპოვებიან, რომლებიც ჯერ ერთხელაც არ დასწრებიან ზემო პალატის სხდომებს. მათ შორის ისეთებიც არიან, რომლებსაც მთელი სიცოცხლე ან საზღვარ-გარეთ გაუტარებიათ, ან თავიანთ მამულიდან არც კი გამოსულან. ამიტომ ისინი ინგლისის პოლიტიკურ ვითარებას არც კი არიან გაცნობილნი. მათ ისიც კი ჰგონიათ, თითქოს მთავრობაზე გავლენის მქონე პარტია მხოლოდ სოციალისტებისაგან შესდგებოდეს. ერთმა მათგანმა, ლორდმა ფარკარმა ზედა პალატაში ისიც კი სთქვა, რომ მთავრობა მოწადინებულია სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობა ბანკირებს, მდიდარ ვაჭრებს და მიწათმფლობელებს ჩამოართვას და მეზოვეებს გადასცესო. დიდათ აღელვებს აგრეთვე ბიუჯეტის საკითხი პროტექციონისტებს, ვინაიდან მისი დამტკიცება კონსერვატორების სიკვდილს ნიშნავს. ამატომ ისინი ყოველივე საშუალებას ხმარობენ იმ ლორდების მასამხრობათ, რომლებსაც, თუმცა შეგნებული აქვთ პოლიტიკური მდგომარეობა, მარა გადაჭრილ აზრს ვერ დასდგომიან. ისინი არწმუნებენ ლორდებს გაბედულათ იმოქმედონ თუ არ სურთ, რომ მომავალ არჩევნებში ხალხის ნდობა არ დაკარგონ. ვინაიდან მთავრობას ვერც ერთი პარტია ვერ დაუახლოვდება ინგლისში თუ ხალხის ფართო მასსა არ თანაუგრძნობს მას, ამიტომ პროტექციონისტები, ვინ იცის, რას არ პირდებიან ხალხს. რასაკვირველია, უმთავრესი მათი ლოზუნგი უმუშევრობასთან „ბრძოლაა." „თუ გინდათ სამუშაო, მიეცით ხმა სატარიფო რეფორმებს, თქვენ იმიტომ არ გაქვთ სამუშაო, რომ უცხოელ ვაჭრებს შემოაქვთ ჩვენში იაფი საქონელი და ამით შინაურ წარმოების განვითარებას აფერხებენ; თავისუფალი ვაჭრობა ნიშნავს სამუშაოს უცხოელთათვის და უმუშევრობას ჩვენთვის. სოციალისტები არა თუ მხარს უჭერენ თავისუფალ ვაჭრობას, არამედ—ბიუჯეტსაც, რომლითაც კაპიტალისტებს გადასახადი ემატებათ და ამიტომ ისინი იძულებული არიან საზღვარ-გარეთ წავიდნენ, მაშინ უმუშევრობა უფრო იმატებს". ასეთია პროტექციონისტების „მოძღვრება". მუშას შეუძლია ასე უპასუხოს მათ: „თუ თავისუფალი ვაჭრობა ასე დამღუპველია მუშების და პროტექციონიზმი სასარგებლო, თუ სადამოენო ბაჟები, რამდენათ დიდია მით უკეთესია მუშებისათვის, იმ ქვეყნებში, სადაც სადამოენო ბაჟები დიდია, მუშები ბედნიერათ უნდა ცხოვრობდენ, ამიტომ მუშებისთვის რუსეთი ამ მხრით იდეალური ქვეყანა ყოფილა". ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რომელ მუშას უკეთ ეცხოვრება—რუსეთისას თუ ინგლისისას, მარა ხშირათ ინგლისელი მუშების ნაწილი ამას არ უკვირდება და უმუშევრობიდან აუტანელ პირობებში ჩაყენებული, პროტექციონისტების მიერ გადაგდებულ ანკესზე ეგება. კონსერვატიული პარტიის ბელადები ხედავენ რა, რომ თუ მათ გაიმარჯვეს, უმუშევრობას ვერ მოსპობენ, ხალხი რომ სრულიად მოტყუებული არ დაურჩეთ და სამაგიეროს არ მიუზღოს მათ ხალხმა, ისინი ამ უკანასკნელ ხანებში „ჩუმათ" ამბობენ, რომ სატარიფო რეფორმა სავსებით ვერ მოსპობს უმუშევრობას, მარა მაინც საგრძნობათ შეასუსტებსო. ასეთი ანკესებით სურთ მათ მუშები მიიმხრონ, მარა ინგლისის მუშების დიდი ნაწილი იმდენათ შეგნებულ-მომზადებულია, რომ ასე ადვილათ როდი გაებმებიან ლორდების მიერ დაგებულ მახეში...

—

**ნაციონალური ბრძოლა ავსტრიაში.**

ავსტრიის პოლიტიკური მდგომარეობა არა თუ უკეთესდება, არამედ უფრო რთულდება და ვარესდება. ევროპის სხვა სახელმწიფოებში ხალხს ყოველ ფეხის გადადგმაზე ბრძოლა უხდება ხან სახალხო წარმომადგენლობის იდეის დასაცავათ, ხან პარლამენტის ორგანიზაციულათ გაუმჯობესებისათვის, მისი უფლებებისა და ფუნქციებისათვის. სწორეთ ეს არის ევროპის ხალხთა პოლიტიკური ბრძოლის ისტორიის დედა-ძარღვი. ავსტრიაში ამ მხრით საქმე სულ სხვა გვარათაა: სახალხო წარმომადგენლობის იდეას აქ საყოველთაო პატივ-ცემა აქვს და ის, ვინც კონსტიტუციის შელახვა-მოსპობას მოინდომებს, შეშლილათ ჩაითვლება და შესაფერ თავშესაფარშიაც კი მიუჩენენ ადგილს. ისეთი დემოკრატიული სახალხო წარმომადგენლობა, როგორც აქ არის, ევროპაში ორი თუ სამი მოიპოვება. მაშასადამე, პოლიტიკური ცხოვრების განვითარებას ავსტრიაში ნაკლები დაბრკოლებები უნდა ელობებოდეს წინ ვინემ სხვაგან, მაგრამ ეს ასე არ არის: უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში პოლიტიკური ბრძოლის ისტორია მდგომარეობდა არა თუ ხალხის მიერ თავისი უფლებების მოპოვება-გაფართოვებაში, არამედ—ბიუროკრატიის ბრძოლაში ხალხთან, რომ ხალხს მოპოვებული უფლებებით ესარგებლნა. ავსტრიაში ის სახელმწიფო მოღვაწე კი არ ითვლება საუკეთესო მოღვაწეთ, რასაკვირველია, მთავრობის აზრით, რომელიც პარლამენტს თავის სურვილებს უმორჩილებს, როგორც ეს სხვა სახელმწიფოებშია, არამედ ის, რომელიც პარლამენტში მომქმედ ჯგუფებს შეათანხმებს და ამით პარლამენტის მუშაობას ხელს უწყობს. ყველა ამას ხელს უშლის ავსტრიაში დასახლებული ერების ერთმანეთში ბრძოლა. უმთავრესი ბრძოლა ნაციონალურ ნიადაგზე—ჩეხებსა და ნემცებს შორის სწარმოებს და ვინაიდან ეს ორი ერი ვერ ახერხებს ერთმანეთში შეთანხმებას და მოპოვებული უფლებებით თანასწორათ სარგებლობას, ხშირათ უარს ყოფენ მოპოვებულ უფლებებით სარგებლობას და მის ცხოვრებაში გატარებას ბიუროკრატიას თავის ნებით უთმობენ. ავსტრიის მთავრობის მიზანიც ის უნდა იყოს, რომ ყველა ერები თანასწორი უფლებებით იყონ აღჭურვილნი... ერთი მეორეს არ უნდა სჩაგრავდეს. ზოგიერთების აზრით ერთი მეორის ეროვნული ჩაგვრა მხოლოდ მაშინ მოისპობა, როცა ყველა ერები თანასწორი უფლებებით იქნებიან აღჭურვილნი და ეს მათი აზრით შესაძლებელია აღსრულდეს რამდენიმეთ მაინც, თუ მთავრობაში ყველა ერის წარმომადგენლები იქნებიან, მარა ბევრია იმის მაგალითი, რომ ვერც ამით აღწევენ მიზანს, რადგან ერთ-ერთი ერის წარმომადგენელნი მაინც უმცირესობაში რჩება და მისი საწინააღმდეგო ზომებიც ხშირათ კაბინეტის სანქციას ღებულობს. ამ ნიადაგზე უკანასკნელ დღეებში ასეთი ამბავი მოხდა: კაბინეტმა მეფეს წარუდგინა დასამტკიცებლათ ოთხი ლანდტაგის მიერ მიღებული კანონი, რომლითაც ავსტრიის ზოგიერთ კუთხეებში ნემცური ენა უნდა ბატონობდეს. ამით, რასაკვირველია, ჩეხებმა თავიანთი უფლებები ფეხ-ქვეშ გათელილათ ჩასთვალეს და კაბინეტიდან ორი მინისტრი (ჩეხი) უკანვე გაიწვიეს. საერთაშორისო კრიზისისა და ბოსნიის ანექსიის შემდეგ, რომელმაც მჭიდროთ დაუკავშირა ავსტრია გერმანიას, ნემცები ყოველ დღე გაიძახიან, რომ ჩვენი გავლენა ავსტრიის პოლიტიკაზე უფრო ძლიერი უნდა იყოს, ვინემ სლავიანებისაო. ეს „იდეა" უდევს საფუძვლათ მთავრობის პოლიტიკასაც. ის ნაციონალური კანონი, რომელმაც ჩეხების მინისტრები აიძულა კაბინეტიდან გამოსულიყვნენ, თუმცა მათ (ჩეხების) უფლებებს პირდაპირ არ ჰკვეცავს, მარა მაინც ისეთ ხელოვნურ დაბრკოლებებს ქმნის, რომელიც ნებას არ აძლევს ჩეხებს გააძლიერონ მათი ეროვნული მისწრაფებები უმთავრესათ ნემცებით დასახლებულ კუთხეებში... ასეთი ზომები, რასაკვირველია, იმითაა გამოწვეული, რომ ავსტრიის ზოგიერთი „წმინდა ნემეცური" ოლქები ჩეხებმა არ „დაიპყრონ". ამის შემდეგ ვერავინ იკისრებს იმის თქმას, თითქოს მთავრობა უფრო შორს არ წავა ნემცების „ისტორიული უფლებების" დაცვაში. ჩეხები უკანასკნელ ხანებში მთავრობასთან მოლაპარაკების წინააღმდეგნი არიან; არც იმის ნიშნები სჩანს, რომ ნემცებმა შეიგნონ ის, რომ ავსტრიაში ჩეხების შემავიწროვებელი კანონების გამოცემა მიზნის შესაფერი არ არის. ჩეხები ერთად ერთ საშუალებას მიმართავენ, ეს არის პარლამენტში არევ-დარევის მოხდენა, სხვა ტაქტიკარ ჯერჯერობით ვერ შერიგებიან. ეს კი უნებლიეთ ხელს უშლის პარლამენტის მუშაობას და მით ხელს უწყობს პარლამენტის მოწინააღმდეგეთა გაძლიერებას...

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „მომავალის" მახლობელ ნომერში შემდეგს:

3 ამა ნოემბერს ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლათ გაიმართა კონცერტი, რომლიდან სულ შემოვიდა 92 მან; აქედან დაიხარჯა 32 მ. დარჩა წმინდა შემოსავალი 60 მ., რომელიც გადაეცა ზემო აღნიშნულ სასწავლებლის ინსპექტორს ბ. გორგასლიძეს.

ამასთანავე უღრმეს მადლობას ვუცხადებ: ბ. სემიჩევს, რომელმაც მუქთად დაგვითმო სამხედრო მუსიკა, თავ. ზ. ი. ნაკაშიძეს, ვარ. სიმონიშვილს, სამ. ჩხიკვიშვილს, ალ. მახარაძეს, სამ. ურუშაძეს, სიმ. გორგოშიძეს, თეიმ. ბებურიშვილს და სხვ., მეჩონგურე ვაშაყმაძეს და ბასილაშვილს, კნ. ნინო ვ. ნაკაშიძეს, ანნა ბერიძეს, ოლია მახარაძეს, ოლია ივანოვს, ივლიტა წყავზარაძეს და ყველა იმათ, ვინც ხელი შეგვიწყო კონცერტის გამართვაში.

**კონცერტის გამგე პლატონ ბერიძე.**

—

ბ-ნო რედაქტორო! ნება მოგვეცით თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ იმ პირებს, რომლებმაც სადგურ აბაშაში სუჯუნის სამკითხველოს სასარგებლოთ წარმოდგენის გამართვაში დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს სახელდობრ: აკ. გვიჩიას, ქუ. მასხულიას, ასუ. ო. ოჩიგავას, კ. მატკავას, ასულს ს. სულაქველიძეს, ევ. ლოლუას, კ. დავითიას, ს. კუხალეიშვილის, ა. კანდელაკს, ბ. თევზაიას და გ. ფალავას.

**საბაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

# ღია წერილი

**ბ-ნ გიორგი ალექსანდრეს ძე საბახტარიშვილს**

ბ-ნო გიორგი! ჩვენ შორის ჩამოვარდა უსიამოვნება სხვადასხვა ნიადაგზე, რითაც ვაწუხებთ ჩვენის განცხადებების კითხვით საზოგადოებას და ნაცნობებს. რომ ეს უსიამოვნება უფრო არ გამწვავდეს, საჭიროთ მიმაჩნია ყოველივე ჩვენ შორის სადავო კითხვა გაარჩიოს მედიატორეთა სასამართლომ. გთხოვ დათანხმდეთ კულტურულ საშვალებას და მანამდე, სანამ სასამართლო შესდგებოდეს გთხოვთ ჩემს შესახებ რაიმე ხმების გავრცელებას თავი ანებოთ. ჩემის მხრით მედიატორებათ იქნება ორი. ვადას გაძლევ დღიდან გამოცხადებისა 15 დღეს.

**ილარიონ ალექსანდრეს-ძე საბახტარიშვილი**


# განცხადება

## ბავშვის დაკარგვა

ამა წლის სექტემბრის 19 რიცხვებში ქუთაისის რეალურ სასწავლებლის მოწაფე გიორგი მალაქიას ძე მუსელიანი 12 წლისა გავგზავნე თფილისიდან ქ. ქუთაისში, თანახმათ მისი ძმის დეპეშისა. ბავშვი ჯერაც არ მისულა თავის ალაგას, ₼ არც რომელიმე თავის მოყვარე ნაცნობთან. უმორჩილესათ ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, თუ ვინმემ რაიმე იცის ხსენებულ ბავშვის შესახებ აცნობოს თფილისში „მომავალის" რედაქციას და ქუთაისში რეალურ სასწავლებელში. ბავშვს აცვია მოწაფის თეთრი პარუსინის ტანისამოსი და „ფორმის" ქუდი.

პატივისცემით **ბესარიონ მუსელიანი.**

(3—2)

# იაფათ

იყიდება **ს. ნიგოითში** (გურიაში) რკინის გზის სადგურის ახლო საუცხოვოთ მორთულ-მოწყობილი სამოსახლო: დიდი ეზო, 5 ოთახიანი ოდა—სახლი, დიდი სამზარეულო სახლი, 2 ბეღელი, 2 სასიმინდე კარგათ მოწყობილი წისქვილი, წყლის ჩამური და სხვა საოჯახო შენობები. ეზოში დარგულია სხვა და სხვა კარგი ჯიშის ხეხილები. აღმოსავლეთით აკრავს 15 ქცევიანი მთა-ადგილი, ვენახით და ხეხილებით გაშენებული, კარგი ჰაერით და სახნავ-სათესით. სამი მხრიდან ჩაუვლის ფართე საურმე შარა-გზა.

პირობების გაგება შეიძლება ს. ნიგოითში მღვდელ ე. კალანდარიშვილთან და თფილისში, „მომავალის" რედაქციაში ს. კ—ან.

0—თ—24

კანტორა და სკლადი

**ი. ახოზაძისა**

გადავიდა ნეკრასოვის ქუჩაზე, სახლი № 14 ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.

სკლადში იმყოფება შემდეგი წამლები:

**„სპერმატინი"**

ავათმყოფებს და სუსტებს. ფლ. 2 მ. 40 კ.

**„ალმეზა"**

რომელიც აცხრობს უცბათ კბილის ტკივილს ნორმ. ფლაკ. 1 მ. 20 კ. სტული 40 კ.

**„კლაპოვნი"** სპობს ბაღლინჯოებს და მათ კვერცხებს, ფასი 35 კ. სალიუბლინი პროფესორ გიუმონდისა სუსუნატისა არჩენს ძველს და ახალს. ფასი ფლ. 2 მ. 50 კ.

**„პრიმა"** სპობს თმის ქერწლსა და აჩერებს თმის ჩამოკვენასა. აგრეთვე ზრდის თმასა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.

მსურველთ ვუგზავნით ფას დადებითი. ბროშიურები უფასოთ. 30—14